Supported by Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების გაძლიერება

პროგრამა

18 დეკემბერი, 2020

ონლაინ კონფერენცია



ონლაინ კონფერენცია - ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების გაძლიერების საკითხებზე - არის ერთდღიანი ღონისძიება, რომელიც იმართება 2020 წლის 18 დეკემბერს, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის ფინანსური მხარდაჭერით. კონფერენციის მიზანია ადგილობრივ დონეზე გამჭვირვალობის, მმართველობის ხარისხის, მუნიციპალური სერვისების მიწოდებისა და მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით არსებული გამოწვევების, დაგეგმილი რეფორმების, საჭირო ინტერვენციებისა და ინოვაციური მიდგომების განხილვა. ამ მიზნით, ღონისძიებაზე იგეგმება ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების, ექსპერტების, დონორებისა და ადგილობრივი, ასევე, ცენტრალური, ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობით გაიმართოს დისკუსიები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა / დეცენტრალიზაციის სტრატეგია
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება
- მუნიციპალური სერვისების მიწოდების ხარისხი
- მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება

კონტექსტი

ბოლო ორი ათწლეულია საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დანერგვის მიმართულებით. ამავდროულად, სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, რომელთა მიზანი თვითმმართველობების გაძლიერება უნდა ყოფილიყო. თუმცა, დეცენტრალიზაციის აუცილებლობა კვლავაც ქვეყნის ერთ-ერთ საჭიროებას წარმოადგენს.

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებმა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების დამატებითი გარანტიები შექმნა, რაც მთლიანობაში დადებითად უნდა შეფასდეს. კერძოდ, აღიარებულ იქნა სახელმწიფო ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა სუბსიდიარობის პრინციპის დაცვით; დადგინდა სახელმწიფოს მიერ თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფის ვალდებულება; აღიარებულ იქნა მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული დამოუკიდებლობის და ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის უფლება; ასევე, დადგინდა სახელმწიფოს მხრიდან კონსულტაციების გამართვის ვალდებულება თვითმმართველობის საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

პარალელურად, 2018 წლის მარტში ხელისუფლებამ დაიწყო დეცენტრალიზაციის ახალ სტრატეგიაზე მუშაობა. შედეგად, 2019 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ მიიღო **დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025**, რომლის სტრატეგიულ მიზნებს შორისაა - *სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება*. ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლებამ შემდეგი ამოცანები დაისახა:

ა) ადგილობრივ დონეზე მართვისა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა;

ბ) გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვა;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობა.

სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, მთავრობის მიზანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში დამკვიდრდეს კარგი მმართველობის პრინციპები, უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობა, შეიქმნას საჯარო და კერძო თანამშრომლობის მდგრადი მექანიზმები.

სწორედ ამ საკითხების გარშემო გაიმართება დისკუსიები საკითხის ექსპერტების, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო დონორებისა და კვლევითი ორგანიზაციების მონაწილეობით. კერძოდ, კონფერენციის მთავარ განსახილველ საკითხებს წარმოადგენს:

1. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის. მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატიული პრინციპები და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტები თანაბრად დაინერგოს როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. ამის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობის სტანდარტების გაუმჯობესება ქვეყნის დეცენტრალიზაციის სტრატეგიის (2020-2025 წლები) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის დანერგვა ასევე წარმოადგენს საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ერთ-ერთ მიმართულებასა და მიზანს. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციულ სტრატეგიისა და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საქართველოს სამოქმედო გეგმების გათვალისწინებით, რამდენიმე მუნიციპალიტეტმა მიიღო გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიები, რომელთა სრულყოფილად შესრულება საშუალებას მისცემთ მათ ეფექტურად უპასუხონ არსებულ გამოწვევებს. ადგილობრივ დონეზე გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით რამდენიმე საჭიროება შეიძლება გამოიყოს: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამოქვეყნების პრაქტიკის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების მერიებზე დაქვემდებარებული იურიდიული პირების საქმიანობის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდა, სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობისა და კონკურენციის გაზრდის საჭიროება, საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა, შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმების გაძლიერება და ა.შ. შესაბამის პანელზე განიხილება მთავარი გამოწვევები, საჭიროებები, აქამდე მიღწეული შედეგები და სამომავლო პერსპექტივები.

2. მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების უახლესი ტალღის დროს, 2014 წელს მიღებულ იქნა ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", რომლითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით. კანონში გაჩნდა მონაწილეობის ახალი საკანონ-

მდებლო გარანტიები / ფორმები (დასახლების საერთო კრება, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, პეტიცია, წარმომადგენლობითი ორგანოების სხდომებში მონაწილეობა, თანამდებობის პირთა და საკრებულოს წევრთა ანგარიშების მოსმენა). შემოთავაზებული მონაწილეობის ახალი მექანიზმები მიზნად ისახავდა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას. თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ისინი მუნიციპალიტეტებში არაერთგვაროვნად დაინერგა. ამის რამდენიმე მიზეზი შეიძლება გამოიყოს: მუნიციპალიტეტების ტექნიკურ-მატერიალური შესაძლებლობების, გამოცდილებისა და პოლიტიკური ნების ნაკლებობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობა, მზაობა და უნარები, ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში და საკუთარი წვლილი შეიტანონ ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში. ბოლო გამოკითხვების მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 7%-ია ინფორმირებული მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ[1]. ასევე, უმნიშვნელოა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია ახლად დანერგილი მონაწილეობის მექანიზმების შესახებ[2]. კონფერენციის დროს განვიხილავთ მონაწილეობის მექანიზმების დანერგვის წარმატებულ მაგალითებს, გამოკვეთილ პრობლემებს და შესაძლო ინოვაციურ მიდგომებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის წასახალისებლად.

3. მუნიციპალური სერვისების მიწოდების ხარისხი

მუნიციპალური ორგანოების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ადგილობრივი მოსახლეობისთვის ცალკეული სერვისების მიწოდებაა. მათ ხარისხიან და ეფექტურ მიწოდებას დიდი მნიშვენლობა აქვს ხელისუფლების მიმართ მოქალაქეთა დამოკიდებულების ფორმირებაში. ამავდროულად, სერვისების მიწოდების გამართული სისტემა გავლენას ახდენს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე და პირდაპირ აისახება მოქალაქეთა კეთილდღეობაზე. ახალი კორონავირუსის პანდემიის გამოცდილებამაც აჩვენა, რომ დღეისათვის საჯარო სერვისების მიწოდებაში სრულყოფილად არ არის ათვისებული ინოვაციური მიდგომები და საჭიროა მომსახურების გაციფრულება. დამატებით გამოწვევას წარმოადგენს სერვისების ერთიანი სტანდარტის ნაკლებობა, სერვისების მიწოდების ხარისხი და მისი შეფასების პრაქტიკა. დღეისათვის 21 საპილოტე მუნიციპალიტეტში ერთიანი ელექტრონული სერვისების დანერგვა არის დაწყებული. კონფერენციის ერთ-ერთი პანელის მიზანია მიმოიხილოს მუნიციპალური სერვისების განვითარებისა და მიწოდების კუთხით არსებული გამოწვევები, მიმდინარე პროექტები და სამომავლო გეგმები.

---

[1] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, საჯარო პოლიტიკის კვლევა, 2015, *http://caucasusbarometer.org/ge/ti2015ge/LOCGOVTU/*

[2] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, საჯარო პოლიტიკის კვლევა, 2015, *http://caucasusbarometer.org/ge/ti2015ge/LOCGOVTU/*

ონლაინ კონფერენციის
დღის წესრიგი

პარასკევი, 18 დეკემბერი, 2020 წელი

ვებინარის სარეგისტრაციო ბმული:
https://bit.ly/2JQs227

LIVE

Facebook Live-ის ბმული:
facebook.com/IDFI.official

13:00–13:10
მისასალმებელი სიტყვა

გიორგი კლდიაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

13:10–14:10
ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა: არსებული საჭიროებები, მიმდინარე რეფორმები და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის როლი

მოდერატორი:
დავით აფრასიძე
პროექტის მენეჯერი, კონრად ადენაუერის ფონდი

მზია გიორგობიანი
მინისტრის მოადგილე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ნინო კაკუბავა
პროექტის მენეჯერი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

არჩილ ჟორჟოლიანი
კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის - პროგრამის მრჩეველი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

ლინა პანტელეევა
მმართვლობის სპეციალისტი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

14:10:14:20 – შესვენება

14:20–15:20

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალ-დებულების პრინციპების დანერგვა ადგილობრივ დონეზე

მოდერატორი:
მიხეილ დარჩიაშვილი
სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI)

- **ნანა თავდუმაძე**
  აპარატის უფროსი, ოზურგეთის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულო
- **კელაგია მახაური**
  ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, იუსტიციის სამინისტრო
- **გიორგი ნასრაშვილი**
  კარგი მმართველობის ექსპერტი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- **ნიკოლოზ როსებაშვილი**
  ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარ-ტამენტის უფროსი, რეგიონული განვი-თარებისა და ინფრასტრუქტურის სამი-ნისტრო
- **სალომე საღარაძე**
  პროექტების კოორდინატორი, ახალგაზ-რდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)
- **თეონა ტურაშვილი**
  მედია, ინტერნეტი და ინოვაციების მიმარ-თულების ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

15:20–15:30 – შესვენება

15:30–16:30

მოქალაქეთა ჩართულობის წახალი-სება ადგილობრივი გადაწყვეტილე-ბის მიღების პროცესებში

მოდერატორი:
თინიკო ბოლქვაძე
მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამის მენეჯერი, ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)

- **ნათია აფხაზავა**
  ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI)
- **რევაზ ბარბაქაძე**
  თავმჯდომარე, რუსთავის ინოვაციების ჰაბი
- **მარიკა გორგაძე**
  დირექტორის მოადგილე, USAID-ის პრო-ექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (USAID/GGI)
- **ირაკლი მელაშვილი**
  დამოუკიდებელი ექსპერტი
- **ზვიად ქორიძე**
  რეგიონული ოფისების მენეჯერი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

17:40-18:00 - შესვენება

16:40-17:40

მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდა

მოდერატორი:
მაგდა პოპიაშვილი
რედაქტორი, ვებპორტალი „თვითმმართველობის დროა"

- **ლაშა მაჭავარიანი**
  ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
- **ზვიად მოდებაძე**
  პროგრამის კოორდინატორი, ASB საქართველო
- **ლიზი სოფრომაძე**
  გამგეობის თავმჯდომარე, რეგიონის განვითარების ცენტრი
- **გიორგი ტოკლიკიშვილი**
  თვითმმართველობის და რეგიონული განვითარების საკითხების სპეციალისტი, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)

17:40-18:00 - შეჯამება / დასკვნითი შენიშვნები

სამუშაო ენა:
ქართული

უზრუნველყოფილი იქნება სინქრონული თარგმანი ინგლისურ ენაზე



მომხსენებელი

დავით აფრასიძე

პროექტის მენეჯერი, კონრად ადენაუერის ფონდი

დავით აფრასიძე ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ - მენეჯერია. ამავდროულად, იგი გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით. ბატონ დავითს განათლება მიღებული აქვს საქართველოსა და გერმანიაში, კერძოდ, არის ჰამბურგის უნივერსიტეტის დოქტორი პოლიტიკის მეცნიერებაში. იყო ფულბრაიტის მკვლევარი დუკის უნივერსიტეტში, ჩრდილოეთ კაროლინა, აშშ. აქვს სამოქალაქო საზოგადოებასა და საჯარო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

მომხსენებელი

ნათია აფხაზავა

ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი,
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ქალბატონ ნათიას სამოქალაქო სექტორში მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება აქვს. მისი საქმიანობა მოიცავს გამჭირვალე და მონაწილეობითი თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობას, ადგილობრივი ნორმატიული აქტების შემუშავებას და ლობირებას, ეფექტური თანამშრომლობის ჩამოყალიბების ხელშეწყობას საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. ასევე საზოგადოებრივი აქტორების მონაწილეობის გაძლიერებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ნათია არის ბათუმის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი. ასევე საზოგადოება "ბათომის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და სამოქალაქო აქტივისტი.

ნათია აფხაზავამ დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, აქვს მაგისტრის ხარისხი კონსტიტუციურ და ადმინისტრაციულ სამართალში. ასევე არაერთი საერთაშორისო და რეგიონალური პროგრამების სერტიფიკატი, მათ შორის საჯარო მმართველობა - მალმოს უნვერსიტეტში (შვედეთი) და ხელისუფლები ანგარიშვალდებულების პრაქტიკული კურსი ღია სამყაროს პროგრამის ფარგლებში (აშშ).

მომხსენებელი

რევაზ ბარბაქაძე

თავმჯდომარე, რუსთავის ინოვაციების ჰაბი

რევაზ ბარბაქაძეს აქვს სამოქალაქო სექტორში მუშაობის ოცწლიანი გამოცდილება. სხვადასხვა დროს ჩართული იყო პროექტებში, რომელთა მიზანიც იყო ადგილობრივი თვითმმართველობისა და თემის განვითარება, მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია და ა.შ. 2019 წლის მაისიდან არის რუსთავის ინოვაციების ჰაბის დამფუძნებელი და მისი ხელმძღვანელი. რუსთავის ინოვაციების ჰაბი მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ჩართულობის ინოვაციური მეთოდების შექმნა, დანერგვა და რეპლიკაცია, ახალგაზრდების ალტერნატიული დასაქმება, ჩაკეტილი ცილკის ეკონომიკური მოდელების შექმნა, ინტერსექტორული თანამშრომლობის განვითარება, თვითმმართველობის სერვისების გაუმჯობესება და სხვა.

მომხსენებელი

თინიკო ბოლქვაძე

მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამის მენეჯერი,
ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)

თინიკო ბოლქვაძე 2005 წლიდან ღია საზოგადოების ფონდის სხვადასხვა პროგრამის კოორდინატორი გახლავთ. სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდა ისეთ პროექტებსა და პროგრამებს, რომლებიც დეცენტრალიზაციის რეფორმის და მონაწილეობითი დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებაზეა მიმართული.

მომხსენებელი

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

მზია გიორგობიანს გააჩნია საჯარო სექტორში მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მუშაობისას გაიარა კარიერის სხვადასხვა ეტაპი-გრანტების, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების დეპარტამენტის კონსულტანტიდან სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობამდე, სადაც კოორდინაციას უწევდა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავებას, ასევე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების განხორციელებას, მუშაობდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და საქართველოს საჯარო სექტორის პარტნიორების მიერ დაფინანსებულ საინვესტიციო პროექტებზე, მონაწილეობდა ყოველწლიური და შუალედური ბიუჯეტის დაგეგმვაში.

მომხსენებელი

მარიკა გორგაძე

დირექტორის მოადგილე, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (USAID/GGI)

2018 წლის მარტიდან მარიამ გორგაძე, USAID-ის მიერ დაფინანსებული დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის პროექტში (GGI), დირექტორის მოადგილის პოზიციაზე დაწინაურდა, რომელსაც Tetra Tech ARD ახორციელებს. GGI-ში იგი პასუხისმგებელია მმართველობის ყველა დონეზე საჯარო მმართველობის გაუმჯობესებაზე, მათ შორის პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის, საჯარო ფინანსების მართვის, სახელმწიფო სერვისების, დეცენტრალიზაციის, დამოუკიდებელ და სანდო ინფორმაციაზე წვდომის, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) და მოქალაქეთა მონაწილეობის მიმართულებებზე. მანამდე, დემოკ-რატიული მმართველობის ინიციატივის პროგრამის დასაწყისში (2015 წლის იანვარი) ქალბატონი მარიამ გორგაძე მუშაობდა მმართველობის პროგრამის მენეჯერის პოზიციაზე. USAID-ის მიერ დაფინანსებული მმართველობის პროექტების მეშვეობით, ქალბატონი მარიამი 2011 წლიდან მონაწილეობდა საჯარო მმართველობის რეფორმაში. ამ ხნის მანძილზე იგი სხვადასხვა შესაძლებლობით ერთვებოდა მმართვე-ლობის რეფორმებში. ქალბატონი მარიამ გორგაძე 2001 წლის დეკემბრიდან 2011 წლის ივლისამდე იკავებდა აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტის ტექნიკური დახმარების ოფისში (OTA) როგორც მრჩევლის, ასევე მენეჯერულ პოზიციებს. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ქალბატონი მარიკა ფინანსთა სამინისტროს აქტიური მხარდამჭერი გახლდათ, მათ შორის MTEF-ის დანერგვის, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის, PEFA-ს სტანდარტების და სხვ. მიმართულებით. მას კარგად ესმის საქართ-ველოს საჯარო ფინანსების მართვის საკითხები, ამასთან ფლობს პრაქტიკულ ცოდნას.

მომხსენებელი

მიხეილ დარჩიაშვილი

სახელმწიფო მართვის პროგრამის მენეჯერი, USAID-ის პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში

მიხეილ დარჩიაშვილს დიპლომატიაში, საერთაშორისო ურთიერთობებსა და განვითარებაში მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება გააჩნია.

2013 წლის ივლისიდან 2014 წლის ნოემბრამდე მიხეილ დარჩიაშვილს ეკავა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტი. აღნიშნულ პოზიციაზე მიხეილ დარჩიაშვილის საპასუხისმგებლო მიმართულებებს თავდაცვის პოლიტიკა და დაგეგმვა და საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენდა (განსაკუთრებული აქცენტი აშშ-საქართველოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობასა და ნატოში გაწევრიანების საკითხებზე).

2008-2013 წლებში მიხეილ დარჩიაშვილი მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოში, თავდაპირველად უფროსი მრჩევლის, ხოლო შემდგომ საგანგებო და სრულუფებიანი დესპანის პოზიციაზე.

2004-2008 წლებში მიხეილ დარჩიაშვილი მუშაობდა თავდაპირველად პირველი მდივნის ხოლო შემდგომ პოლიტიკური მრჩევლის პოზიციაზე ნატოსთან საქართველოს მისიაში, ქალაქი ბრიუსელი, ბელგია.

2015 წლიდან, მიხეილ დარჩიაშვილი მუშაობს USAID-ის პროექტში დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში და პასუხისმგებელია ღია მმართველობის პარტნიორობასა და კორუფციასთან ბრძოლოს საკითხებზე.

მომხსენებელი

ნანა თავდუმაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალბატონი ნანა თავდუმაძე არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ასევე, OGP-Local ადგილობრივი წარმომადგენელი ოზურგეთში. იგი მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტში კარგი მმართველობის პრინციპების გაძლიერების მიმართულებით. ნანა თავდუმაძე ხელმძღვანელობს მოქალაქეთა მონაწილეობის ინოვაციური მექანიზმების შემუშავება-დანერგვას ადგილობრივ თვითმმართველობაში. ამასთან, იგი გახლავთ ოზურგეთის სამოქალაქო ბიუჯეტის - „იყავი თანამმართველი" კოორდინატორი.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, ქალბატონი ნანა გახლავთ პროექტის „გურიის ტურიზმის განვითარების მონაწილეობითი სტრატეგია" დირექტორი, მოწვეული ექსპერტი NALAG–ში, აგრეთვე, საუკეთესო პრაქტიკა თვითმმართველობაში (N4ED) პროექტის ინიციატორი და თანაავტორი.

მომხსენებელი

ნინო კაკუბავა

პროექტის მენეჯერი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

ნინო კაკუბავა მუშაობს დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის გაძლიერების საკითხებზე. პროექტი - "დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში" - ითვალისწინებს თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებაში საქართველოს მთავრობის დახმარებას და მიზნად ისახავს ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, აგრეთვე პოლიტიკის შემუშავების პროცესში ყველა სოციალური და ეკონომიკური ჯგუფის - კაცების, ქალების, უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ინტერესების გათვალისწინებას.

მომხსენებელი

გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

გიორგი კლდიაშვილი არის IDFI-ის თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი. მას აქვს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ღია მმართველობის და ანტი-კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე მუშაობის 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. გიორგის განხორციელებული აქვს პროექტები, კვლევები და ტრენინგები სხვადასხვა საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის და სახელმწიფო დაწესებულებისთვის. გიორგი კლდიაშვილი არის ავტორი რიგი ნაშრომებისა, რომლებიც ეხება: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ანტიკორუფციულ პოლიტიკას, კარგ მმართველობას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, ელექტრონულ მმართველობასა და დემოკრატიას, ღია მონაცემებს, საჯარო სამსახურს და საჯარო ადმინისტრირებას, მედიას და ინტერნეტს.

IDFI-ისთან დაკავშირებული საქმიანობის გარდა გიორგი კლდიაშვილს, როგორც სპეციალობით ისტორიკოსს, აქვს გამოცდილება აკადემიურ საქმიანობაში, კერძოდ, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის შესახებ კვლევებში. ის არის პროფესიონალი არქივის მკვლევარი და აქვს საქართველოსა და უცხოეთის არქივებში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება. გიორგი კლდიაშვილს აქვს დამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორანტურა და მუშაობდა პროფესორად და ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტში.

გიორგი კლდიაშვილი 2017-2020 წლებში იყო ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველი კომიტეტის წევრი სამოქალაქო საზოგადოებიდან.

მომხსენებელი

ლაშა მაჭავარიანი

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი,
მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

ლაშა მაჭავარიანი 2020 წლიდან მუშაობს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში, ნოემბრის თვიდან იგი აღნიშნულ სააგენტოს ხელმძღვანელობს.

2011-2019 წწ. საქართველოს საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით იკავებდა სხვადასხვა პოზიციებს, მათ შორის ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გახლდათ უფროსი მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

ბატონი ლაშა ფლობს საერთაშორისო მაგისტრის ხარისხს - საერთაშორისო ბიზნესის მართვის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და კონფლიქტების მართვის მიმართულებით.

მომხსენებელი

პელაგია მახაური

ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, იუსტიციის სამინისტრო

პელაგია მახაური არის იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის (ამავდროულად ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო) უფროსის მოადგილე. ანალიტიკურ დეპარტამენტში პელაგია მუშაობს 2016 წლიდან. ანტიკორუფციული პოლიტიკის საკითხებზე სახელმწიფო სექტორის გარდა პელაგია მუშაობდა ანტიკორუფციულ და თაღლითობასთან ბრძოლის თემებზე ევროკომისიაში, თაღლითობასთან ბრძოლის ევროპის ოფისში (European Anti-Fraud Office – OLAF), იურიდიულ განყოფილებაში. პელაგიას განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სამართლის ბაკალავრი) და ლეიდენის უნივერსიტეტში, ჰოლანდია (ევროკავშირის სამართლის მაგისტრი).

მომხსენებელი

ირაკლი მელაშვილი

კოალიცია თვითმმართველობისა და დემოკრატიისათვის, დამფუძნებელი ნევრი

ირაკლი მელაშვილი გახლავთ ადგილობრივი თვითმმართველობის ექსპერტი და გამოცდილი ტრენერი. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა როგორც საჯარო სექტორში, ისე არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებში. 2012-2013 წლებში ბატონი ირაკლი საქართველოს პრემიერ მინისტრის მრჩევლის პოსტს იკავებდა. შემდგომ წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. მისი მრავალწლიანი გამოცდილება უკავშირდება ადგილობრივ ბიუჯეტირებაში მოქალაქეთა მონაწილეობისა და დეცენტრალიზაციის, აგრეთვე საარჩევნო მონიტორინგის ირგვლივ განხორციელებულ პროექტებს, რომელთაც თავად უწევდა კოორდინირებას.

ბატონი ირაკლი მრავალი სამეცნიერო სტატიისა და პუბლიკაციის ავტორია. იგი გახლავთ მოწვეული ლექტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტში.

მომხსენებელი

ზვიად მოდებაძე

პროგრამის კოორდინატორი,
ASB საქართველო

ზვიად მოდებაძეს ქართულ და უცხოურ არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ამჟამად იგი სამოქალაქო საზოგადოების პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციას იკავებს გერმანულ არასამთავრობო ორგანიაცია “ASB”-ში (Arbeiter-Samariter-Bund).

მომხსენებელი

გიორგი ნასრაშვილი

კარგი მმართველობის ექსპერტი,
გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

გიორგი ნასრაშვილი 2 წელია UNDP-ის პროექტის "დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში" ფარგლებში მუშაობს ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის გაძლიერების, ღია მმართველობის პარტნიორობისა და მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხებზე. ბატონ გიორგის წარსულში არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება აქვს.

მომხსენებელი

ლინა პანტელეევა

მმართველობის სპეციალისტი,
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

ქალბატონი ლინა 2012 წლიდან შეუერთდა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და მმართველობის გუნდს და ზედამხედველობს მმართველობის გაძლიერებაზე მიმართულ პროგრამებს. ამჟამად იგი ზედამხედველობს პროგრამას - „დემოკრატიული მმართვრელობის ინიციატივა საქართველოში", რომელიც 2015 წლიდან ხორციელდება და ხელს უწყობს მმართველობის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და ეფექტიანობის გაძლიერებას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, მათ შორის მოქალაქეთა გადაწყვეტილების მიღების და მონიტორინგის პროცესში ჩართულობის გაუმჯობესების გზით.

ლინას აქვს საერთაშორისო პროექტების მართვის თითქმის ოცწლიანი გამოცდილება. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომდე ის მუშაობდა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტში და ევრაზიის ფონდში, სადაც მართავდა მმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის განვითარებასა და სამხრეთ კავკასიაში ნდობის აღდგენაზე მიმართულ პროექტებს.

ლინა არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის კურსდამთავრებული. აგრეთვე ფლობს შვედეთის უფსალის უნივერსიტეტის მაგისტრის წოდებას მშვიდობის და კონფლიქტების მეცნიერებებში.

მომხსენებელი

მაგდა პოპიაშვილი

რედაქტორი, ვებპორტალი „თვითმმართველობის დროა"

მაგდა პოპიაშვილი 2017 წლიდან დღემდე იკავებს ვებპორტალის "თვითმმართველობის დროა" რედაქტორის პოზიციას, ამავდროულად გახლავთ „საქართველოს მედია-კლუბის" თავმჯდომარე. ქალბატონ მაგდას არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებში, აგრეთვე საჯარო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, კერძოდ საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის ჭრილში წამყვან პოზიციებს იკავებდა თბილისის მერიაში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში.

მაგდა პოპიაშვილი გახლავთ მრავალი კვლევისა და პუბლიკაციის ავტორი, აგრეთვე პროექტების ხელმძღვანელი ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებული კანონმდებლობის, აგრეთვე მონაწილეობითი ბიუჯეტირების საკითხების ირგვლივ.

მომხსენებელი

არჩილ ჟორჟოლიანი

კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის - პროგრამის მრჩეველი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

არჩილ ჟორჟოლიანი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის "კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის" მრჩეველი გახლავთ. იგი ასევე მოწვეული ლექტორია თსუ-სა და საქართველოს უნივერსიტეტებში, კერძოდ უძღვება კურსს - დეცენტრალიზაცია და მოქალაქეთა თანამონაწილეობა მმართველობაში, რომელიც 2011 წელს, ერასმუსის უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის (ჰააგა, ნიდერლანდები) ხელშეწყობით მომზადდა. მას მიღებული აქვს მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი (MSc) Lund University-დან (შვედეთი) და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის ხარისხი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტიდან. ბატონ არჩილს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში პროექტების მართვის, კონსულტირებისა და პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია.

მომხსენებელი

ნიკოლოზ როსებაშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

მომხსენებელი

სალომე საღარაძე

პროექტების კოორდინატორი,
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

სალომე საღარაძემ 2013 წელს დაამთავრა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, 2020 წელს გახდა საჯარო პოლიტიკის მაგისტრი. 2013 წლიდან იგი მუშაობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში და ჩართულია დემოკრატიული მმართველობის გაუმჯობესების მიმართულებით არსებულ პროექტებში. ქალბატონი სალომე თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან საკონსულტაციო და ტრენინგ მოდულების შემუშავების კუთხით, კარგი მმართველობის საკითხებზე. ასევე, იგი გახლავთ ათზე მეტი კვლევის ავტორი და თანაავტორი ბიუჯეტის გამჭვირვალობის, ღია მმართველობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებებით როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

მომხსენებელი

ლიზი სოფრომაძე

გამგეობის თავმჯდომარე,
რეგიონის განვითარების ცენტრი

ქალბატონი ლიზი სოფრომაძე გახლავთ ექპერტი თვითმმართველობის საკითხებში. იგი „რეგიონის განვითარების ცენტრს" ხელმძღვანელობს, ამასთან ლექციებს კითხულობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA).

ქალბატონ ლიზის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2005 წლიდან თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. იგი გახლავთ მრავალი კვლევისა და პუბლიკაციის ავტორი.

მომხსენებელი

გიორგი ტოკლიკიშვილი

თვითმმართველობის და რეგიონული განვითარების საკითხების სპეციალისტი, კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC)

გიორგი ტოკლიკიშვილს ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება აქვს. 2016 წლიდან დღემდე იგი კონსულუტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების პროგრამას ხელმძღვანელობს.

ბატონ გიორგის 2012-2013 წლებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა. შემდგომ წლებში ხელმძღვანელობდა ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის ცენტრს, ამავდროულად გახლდათ საქართველოს რეგიონული განვითარების კომისიის წევრი.

გიორგი ტოკლიკიშვილს ათეულობით კვლევასა და პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნაში აქვს მონაწილეობა მიღებული. იგი გახლავთ ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის (LSG Index) თანაავტორი და 2017 წლიდან აქტიურადაა ჩართული აღნიშნულ პროცესში. ინდექსი აფასებს საქართველოს მუნიციპალური ხელისუფლების გამჭვირვალობის, მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხს.

მომხსენებელი

თეონა ტურაშვილი

მედია, ინტერნეტი და ინოვაციების მიმართულების ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

თეონა ტურაშვილი IDFI-ში ხელმძღვანელობს მედია, ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულებას. 2012 წლიდან თეონა ჩართული იყო და ასევე, კოორდინაციას უწევდა ათობით პროექტს ელექტრონული მმართველობის, კარგი მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ინტერნეტისა და ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის საკითხებზე. თეონა ასევე არის ამავე საკითხებზე მომზადებული კვლევების, ანგარიშებისა და ანალიტიკური ნაშრომების ავტორი.

თეონა ჩართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შექმნაში, რომელიც 2017 წლიდან სწავლობს და აფასებს საქართველოს მუნიციპალური ხელისუფლების გამჭვირვალობის, მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხს. თეონა ასევე მონაწილეობდა იმ ინიციატივებში, რომელის ფარგლებშიც მომზადდა რამდენიმე მუნიციპალიტეტის ღია მონაცემების, ასევე, გამჭირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები.

თეონას ვარშავის უნივერსიტეტიდან მიღებული აქვს სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. ასევე, იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის პროგრამის, „ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“, მაგისტრი. ამავე უნივერსიტეტში მან მიიღო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხი.

მომხსენებელი

ზვიად ქორიძე

რეგიონული ოფისების მენეჯერი,
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

ზვიად ქორიძე პროფესიით ჟურნალისტი გახლავთ. იგი იყო გაზეთ "7 დღის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და თანარედაქტორი, ასევე "საქართველოს გაზეთის" მთავარი რედაქტორი. სხვადასხვა დროს ხელ-მძღვანელობდა "რუსთავი-2"-ის, "იმედის" და პირველი არხის საინფორმაციო სამსახურებს, მუშაობდა პროდუსერად და წამყვანად სხვადასხვა მედიასაშუალებაში.

იგი თავიდანვე იყო ჩართული BBC World Service Trust-ისა და სტუდია "რეს" ერთობლივ პროექტში "ვაკეთებთ სათემო რადიოს" და დღემდე არის ნინოწმინდისა და მარნეულის სათემო რადიოების კონ-სულტანტი. 2011-2012 წლებში ზვიად ქორიძე იყო ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს თავმჯდო-მარე.

2014-2018 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების საკითხთა კომისიის თავ-მჯდომარე. ასწავლის კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლასა და GIPA-ში. არის რამდენიმე კვლე-ვისა და კანონპროექტის ავტორი.

ტ. შევჩენკოს ქ. №20, 0180 თბილისი

+ 995 32 292 15 14 INFO@IDFI.GE WWW.IDFI.GE